2018-2019 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიში

2018 წლის 17 სექტემბერს ახალი სასწავლო წლის დაწყება სკოლა ანაბასისში საინტერესო ღონისძიებით აღინიშნა.სწავლის დაწყება მოსწავლეებს სკოლის დირექტორმა და მოწვეულმა სტუმრებმა მიულოცეს და წარმატებული სასწავლო წელი უსურვეს.ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა სკოლის მომღერალთა გუნდმა მუსიკის პედაგოგის თეა მიქაბერიძის ხელმძღვანელობით.

2018-2019 სასწავლო წელი სკოლა ანაბასისში --- მოსწავლით დაიწყო.

2018 წლის 25 სექტემბერს ანაბასისის მკვლევართა კლუბის წევრებმა წელსაც აქტიურად მიიღეს მონაწილეობა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით გამართულ სამეცნიერო პიკნიკში.

აღნიშნული ღონისძიების მთავარი ამოცანაა სახალისო ფორმით წარმოაჩინოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები. სამეცნიერო პიკნიკის ფარგლებში, სპეციალურად გაშლილ კარვებში/პავილიონებში ჩატარდა საინტერესო ექსპერიმენტები და ინტერაქციული გამოფენები, მასტერკლასები და სახალისო კონკურსები სხვადასხვა მიმართულებებით. პიკნიკზე ნორჩმა ანაბასისელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და დიდი მოწონება დაიმსახურეს.

როგორც ვიცით,საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება სასწავლო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში,მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ანაბასისში ჩავატარეთ 28 სექტემბერს.

საბაზო(VII-IX) და საშუალო(X-XII) საფეხურებიდან მოსწავლეთა თვითმმართველობაში თითოეული კლასის მოსწავლეებიდან ავირჩიეთ სამი-ხუთი წარმომადგენელი კლასში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. დაიგეგმა წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები.

29.09.2018წ. სკოლა ანაბასისმა ტრადიციულად უმასპინძლა ვიზიტიორებს ილიაუნის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო პიკნიკზე თბილისში.

წლევანდელ სამეცნიერო პიკნიკზე პოლონეთიდან სტუმრად ჩამოვიდნენ იმ ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც თანამშრომლობენ მკვლევართა კლუბების ქსელთან.

ანაბასისელი ნორჩი მკვლევარები იყვნენ მაქსიმალურად მობილიზებულები და მათი აქტივობები იყო ძალიან საინტერესო და სახალისო.

ანაბასისობა -ოქტომბრის დასასრულს 2018 წელსაც ტრადიციულად ძალიან ლამაზ და სასიამოვნო ვითარებაში წარიმართა. სწორედ წელიწადის ამ მშვენიერ დროს, შემოდგომაზე ავღნიშნავთ ანაბასისობას და ამიტომაც განსაკუთრებული მოლოდინი გვაქვს ყოველთვის...ტრადიციულად გაწყობილ სუფრებთან ერთად მოსწავლეებმა სტუმრებს საინტერესო და სახალისო მუსიკალური ნომრები შესთავაზეს და დიდი მოწონება დაიმსახურეს.

2018 წლის ოქტომბერში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ფარგლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამარჯვებული გახდა ,,ანაბასისის'' სკოლის მეათე კლასის მოსწავლე გიორგი ჩაფიჩაძე,რომელსაც ჯილდოდ 120 ლარი გადაეცა.

2018 წლის ოქტომბერში ძიუდოს საერთაშორისო ტურნირში ანაბასისის მერვე კლასის მოსწავლე გაგა ჯუღელმა დამსახურებული პირველი ადგილი მოიპოვა!

„ანაბასისის“ XII კლასის მოსწავლე ელენე როინიშვილმა ისტორიის პედაგოგის ნინო როინიშვილის ხელმძღვანელობით ეტალონის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და სოფელი თვრინის შესახებ საინტერესო პრეზენტაცია შეადგინა.

2018 წლის 6 ოქტომბერს სკოლა ანაბასისის VIII კლასში ჩატარდა გასვლითი პროექტ გაკვეთილი გეოგრაფიაში. რელიეფის გაცნობის მიზნით - მარშრუტი ზესტაფონი -ჭიათურა- საჩხერე. ექსკურსია სასწავლო დანიშნულების იყო და მიზნად ისახავდა მდინარე ყვირილას ხეობის გაცნობას,ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ გვემოგზაურა ზემო იმერეთში. მოსწავლეებმა დაათვალიერეს მდინარე ყვირილას ხეობის ორივე სანაპირო,გაეცნენ რელიეფს,მცენარეულ საფარს,ნახეს ხეობის მიმდებარე სოფლები, ნახეს სალიეთის მარმარილოს ქარხნის ნარჩენები,დიდი დაინტერესება გამოიწვია მარგანეცის გამრეცხი ფაბრიკის ხილვამ. მოსწავლეებმა ინტერესით დაათვალიერეს მეზოზურ ერაში წარმოშობილი ქანები ჭიათურის ტერიტორიაზე ,მოეწონათ როგორც სამგზავრო,ისე სატვირთო დანიშნულების საბაგირო გზები. მღვიმის დედათა მონასტრის დათვალიერების შემდეგ მოსწავლეები საჩხერეში ესტუმრნენ აკაკი წერეთლის სახლმუზეუმს და საგამოფენო დარბაზს. მათ ასევე მოინახულეს აკაკის გამზრდელის მანო სადუნიშვილის სახლმუზეუმი და 1046 წელს აგებული წმ.გიორგის ტაძარი სავანეში.

მოსწავლეებში აღფრთოვანება გამოიწვია კაცხის სვეტის ნახვამ.

ექსკურსიის ბოლის მოსწავლეებს მიეცათ დავალება შეედარებინათ ერთმანეთისთვის ზესტაფონის,ჭიათურის და საჩხერის ბუნება,რელიეფი და სასარგებლო წიაღისეული.

პედაგოგი რუსუდან გურგენაშვილი.

კლასის ხელმძღვანელი მარინა ავალიშვილი.

„ტვინების ბრძოლა“- ასეთი სახელწოდებით გაიმართა ინტელექტუალური თამაში მეხუთე კლასის მოსწავლეებს შორის. თამაშის ორგანიზატორები კლასის ხელმძღვანელებთან თეა სამხარაძესა და და თეა მიქაბერიძესთან ერთად იყვნენ მეათე კლასის მოსწავლეები მარიამ ჭანტურიძე და მარიამ ძოწენიძე. თამაში ძალზე საინტერესო ვითარებაში წარიმართა.

იაკობ გოგებაშვილის კვირეულთან დაკავშირებით სკოლის მდიდარ ბიბლიოთეკას ესტუმრნენ ანაბასისის პირველკლასელები პედაგოგ ლია გუმბერიძის ხელმძღვანელობით. ქალბატონი თამარი საინტერესო მასალებით შემზადებული დავხვდა მათ და სასიამოვნო და ლამაზი დღე აჩუქა პატარებს,რომლებიც გაეცვნენ იაკობის ბიოგრაფიას, მის მოთხრობებს. პატარებმა ლამაზი ლექსებით თავი მოაწონეს მასპინძელს და დაჰპირდნენ რომ ხშირად ეწვევიან ამ საინტერესო გარემოს.

23 ოქტომბერს სკოლა ანაბასისში გაიმართა გუნდური ინტელექტუალური თამაში "ტვინების ბრძოლა" მეექვსე,მეშვიდე,მერვე კლასის მოსწავლეებს შორის. შეკითხვების თემატიკა იყო ზოგადი,სწორი პასუხის გამოსაცნობად პრიორიტეტული იყო გამჭრიახი გონება და ლოგიკური აზროვნება.მეორე ტურში გადავიდა სამი გუნდი.

პირველადგილოსანმა გუნდმა მოიპოვა სკოლის ჩემპიონის ტიტული. გამარჯვებულს Brains.ge-სგან გადაეცემა "გამარჯვების დამადასტურებელი დიპლომი".საპრიზო ადგილზე გასულ გუნდს მიენიჭა "ტვინების ბრძოლის" ოფიციალურ, სკოლათშორის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება- რომელიც ჩატარდება რეგიონალური მასშტაბით.

თამაში საინტერესოდ წარმართა მეათე კლასის მოსწავლე მარიამ ჭანტურიძემ;

ანაბასისის პირველკლასელები პედაგოგ ლია გუმბერიძის ხელმძღვანელობით მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ესტუმრნენ, სადაც მათ ულამაზესი საღამო აჩუქათ ქალბატონმა ნინო აბესაძემ.

სკოლა ანაბასისში მეცხრე ,მეათე ,მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: "პროექტებით სწავლება".ტრენინგი წარმართა სკოლა ანაბასისის ყოფილმა წარმატებულმა მოსწავლემ, "საბაუნის მოსწავლეთა აკადემიის" წარმომადგენელმა ნინო სალაძემ. ტრენინგის ბოლოს დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელება.

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის VI ა და VI ბ კლასის მოსწავლეებმა ბუნების მასწავლებლის რუსუდან გურგენაშვილის ხელმძღვანელობით მოაწყვეს დასუფთავების აქცია .მათ დაასუფთავეს სკოლის მიმდებარე ტერიტორია .

სკოლა ანაბასისი აქტიურადაა ჩართული ბუნების დაბინძურების წინააღმდეგ გამართულ აქციაში. მსგავსი ხასიათის აქციები მომავალშიც გაგრძელდება.

2018 წლის 19 დეკემბერს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის მესამე კლასში ჩატარდა სამოდელო გაკვეთილი ქართულში თემაზე:"ჭორიკანა კაჭკაჭი". პედაგოგი ხათუნა წითელაშვილი.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ინტელექტუალური კონკურსი „რა? სად? როდის“ ჩატარდა. საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც ტრადიციულად მერიის ორგანიზებით იმართება, მონაწილეობას 22 საჯარო და კერძო სკოლის გუნდი იღებდა. კონკურსის პირობების მიხედვით, მონაწილეებს 30 შეკითხვისთვის უნდა გაეცათ პასუხი. მოსწავლეთა შედეგებს ჟიური აფასებდა, რომლის შემადგენლობა რესურს - ცენტრის, მერიის და საკრებულოს წევრებით იყო დაკომპლექტებული.

ინტელექტუალური კონკურსის გამარჯვებული სკოლა „ ანაბასისის “ გუნდი გახდა. მეორე ადგილი კი N 2 საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა.

კონკურსის მონაწილეებს მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე ოლეგ ჭანკოტაძე მიესალმა და გამარჯვებულებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

დეკემბერის ბოლოს ანაბასისიელებმა საქველმოქმედო აქცია მოაწყვეს. "ჩვენ ყველასთან მივალთ, ვისაც ვჭირდებით!“პროექტის "გავუთბოთ ერთმანეთს გულები" ფარგლებში ანაბასისელებმა საახალწლოდ ჩვეული ტრადიცია არ დაარღვიეს და რამდენიმე მარტოხელა მოხუცი მოინახულეს,რომლებსაც თავიანთი სითბო და სიყვარული გაუნაწილეს!

ახალი 2019 წლის შემობრძანება საინტერესო და მხიარული ღონისძიებებით აღნიშნეს ანაბასისელებმა თითქმის ყველა კლასში.

2019 წელი სკოლა ანაბასისში ძალიან საინტერესოდ და შემოქმედებითად დაიწყო. 5 იანვარს გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე,რომელიც ქართულის პედაგოგის მარეხი ფორჩხიძის ხელმძღვანელობით მოეწყო,საპატიო სტუმრად მოწვეული გვყავდა ყველასათვის საყვარელი მწერალი დათო ტურაშვილი;

ღონისძიების ბოლოს სტუმარმა უპასუხა მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს, ესაუბრა მათ წიგნების სიყვარულის და კითხვის აუცილებლობის შესახებ.მოსწავლეები ყურადღებით და აღფრთოვანებით უსმენდნენ მწერალს,რომელიც მათ მომავალში მსგავს ლიტერატურულ ღონისძიებებზე სტუმრობას დაჰპირდა .